



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებელი

ბრძანება

№ 862

2016 წლის 11 აგვისტო

ქ.ლაგოდეხი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 1 აგვისტოს N805 ბრძანებაში
ცვლილების განხორციელების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანება:

მუხლი 1. შევიდეს ცვლილება, „თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის შექმნის შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 1 აგვისტოს N805 ბრძანების მე-2 მუხლში, კერძოდ ბრძანების მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 2.** კომისია ჩამოყალიბდეს შემდეგი შემადგენლობით:

იოსებ ტყემალაძე - გამგებლის მოადგილე

კომისიის წევრები:

გიორგი ჩალათაშვილი - (ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი) - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

ლელა კურტნიძე - (ქონების მართვისა და ეკონომიკური განვითარების საკითხთა დაგეგმვისა და სტატისტიკის განყოფილების მთავრი სპეციალისტი) - კომისიის მდივანი;

ნინო ბატიაშვილი - (იურიდიული სამსახურის უფროსი);

ივანე ყაველაშვილი - (ქონების მართვისა და ეკონომიკური განვითარების საკითხთა დაგეგმვისა და სტატისტიკის განყოფილების უფროსი);

შალვა ჯიბლაძე - (ქონების მართვისა და ეკონომიკური განვითარების საკითხთა დაგეგმვისა და სტატისტიკის განყოფილების მთავარი სპეციალისტი);

დავით მათიაშვილი - (ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

ემზარ გვალია - (ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი);

შალვა მინდიაშვილი - (სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს კახეთის მომსახურების ცენტრის მთავარი სპეციალისტი).“

მუხლი 2. ბრძანების ყველა სხვა მუხლი დარჩეს უცვლელი.

მუხლი 3. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.

მუხლი 4. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, შემდეგ მისამართზე: ქ.გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24.



გამგებელი

ბრძანება

მუხლი

ცვლილები

შესახებ

ბრძანება